



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N29/ნ

4 მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

**„შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ დადგენის წესის შესახებ
ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 17 მარტის №62/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის
შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის
დამტკიცების თაობაზე” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
2003 წლის 17 მარტის №62/ნ ბრძანებაში (სსმ III, 2003 წ., №23, მუხ. 15) შეტანილ იქნეს ცვლილება და
ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის (ინსტრუქცია „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის
მქონე ბავშვი“ დადგენის წესის შესახებ“) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტს დაემატოს
შემდეგი შინაარსის „ლ.გ“ ქვეპუნქტი:

„ლ.გ) აქონდროპლაზია, ჰიპოქონდროპლაზია (Q 77.4)“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი